20.05.2015

საქართველოს სოფლის მეურნეობა
2015 წლის I კვარტალი
(წინასწარი მონაცემები)

წინასწარი მონაცემებით, 2015 წლის I კვარტალის ბოლოსათვის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობამ 1 431 ათასი სული შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 4.0 პროცენტით აღემატება. აქედან ფურის სულადობამ 661 ათასი შეადგინა. ცხვრისა და თხის ჯამური სულადობა წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით 1.2 პროცენტით გაიზარდა და 1 164 ათას სულს მიაღწია. ღორის სულადობა 237 ათასი სული იყო, რაც 27.5 პროცენტით მეტია წინა წლის მაჩვენებელზე. 2015 წლის I კვარტალის ბოლოსათვის ფრინველის რაოდენობამ 8 348 ათასი ფრთა შეადგინა, რაც 6.9 პროცენტით აღემატება წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს. ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე წარმოდგენილია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა და წვრილფეხა პირუტყვის სულადობა, აგრეთვე ფრინველის რაოდენობა 2007-2015 წლების I კვარტალის ბოლოსათვის.

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა 2007-2015 წლების I კვარტალის ბოლოსათვის (ათასი სული)



* წინასწარი მონაცემები.

საკონტაქტო პირი: ვასილ წაქაძე ტელ.: (+995 32) 36 72 10 (500). E-mail: vtsakadze@geostat.ge info@geostat.ge

ცხვრისა და თხის სულადობა 2007-2015 წლების I კვარტალის ბოლოსათვის (ათასი სული)



* წინასწარი მონაცემები.

ღორის სულადობა 2007-2015 წლების I კვარტალის ბოლოსათვის (ათასი სული)



* წინასწარი მონაცემები.

საკონტაქტო პირი: ვასილ წაქაძე ტელ.: (+995 32) 36 72 10 (500). E-mail: vtsakadze@geostat.ge info@geostat.ge

ფრინველის სულადობა 2007-2015 წლების I კვარტალის ბოლოსათვის (ათასი ფრთა)



* წინასწარი მონაცემები.

წინასწარი მონაცემებით, 2015 წლის I კვარტალში რძის წარმოებამ 114.2 მლნ. ლიტრი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 6.5 პროცენტით მეტია; ხორცის წარმოებამ 9.5 ათასი ტონა შეადგინა, რაც 2014 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს 10.5 პროცენტით აღემატება; ხოლო კვერცხის წარმოებამ 137.3 მილიონი ცალი და წინა წლის მაჩვენებელზე 12.1 პროცენტით მეტი შეადგინა. ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე წარმოდგენილია 2007-2015 წლების I კვარტალში წარმოებული მეცხოველეობის პროდუქტების დინამიკა.

საკონტაქტო პირი: ვასილ წაქაძე ტელ.: (+995 32) 36 72 10 (500). E-mail: vtsakadze@geostat.ge info@geostat.ge

რძის წარმოება 2007-2015 წლების I კვარტალში (მლნ. ლიტრი)



* წინასწარი მონაცემები.

ხორცის წარმოება 2007-2015 წლების I კვარტალში (დაკლული წონა, ათასი ტონა)



* წინასწარი მონაცემები.

საკონტაქტო პირი: ვასილ წაქაძე ტელ.: (+995 32) 36 72 10 (500). E-mail: vtsakadze@geostat.ge info@geostat.ge
www.geostat.ge, info@geostat.ge

კვერცხის წარმოება 2007-2015 წლების I კვარტალში (მლნ. ცალი)



* წინასწარი მონაცემები.

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში დეტალურად არის წარმოდგენილი 2014-2015 წლების მაჩვენებლები პირუტყვის სულადობისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების შესახებ, კვარტალურ ჭრილში.

პირუტყვის სულადობა 2014-2015 წლებში კვარტალის ბოლოსათვის (ათასი სული)

	2014*				2015*
	I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.	I კვ.
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი	1,376.4	1,378.0	1,326.4	1,300.4	1,431.0
მათ შორის ფური და ფურ-კამეჩი	640.7	636.4	618.0	642.8	661.3
ღორი	186.1	215.2	260.5	209.2	237.3
ცხვარი და თხა	1,149.9	1,156.4	1,017.2	867.0	1,163.6
ფრინველი (ათასი ფრთა)	7,807.0	12,037.7	9,653.9	7,361.3	8,348.2

* წინასწარი მონაცემები.

საკონტაქტო პირი: ვასილ წაქაძე ტელ.: (+995 32) 36 72 10 (500). E-mail: vtsakadze@geostat.ge info@geostat.ge
www.geostat.ge, info@geostat.ge

მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება 2014-2015 წლებში

	2014*				2015*
	I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.	I კვ.
ხორცი (დაკლული წონა, ათასი ტონა)	8.6	10.9	10.0	20.1	9.5
რძე (მლნ. ლიტრი)	107.2	221.7	185.8	118.6	114.2
კვერცხი (მლნ. ცალი)	122.5	144.6	118.8	138.2	137.3

* წინასწარი მონაცემები.

2014 წლის დაზუსტებული მონაცემები ხელმისაწვდომი იქნება 2015 წლის 16 ივნისს, ხოლო 2015 წლის დაზუსტებული მონაცემები ხელმისაწვდომი იქნება 2016 წლის 16 ივნისს.

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევა).

საკონტაქტო პირი: ვასილ წაქაძე ტელ.: (+995 32) 36 72 10 (500). E-mail: vtsakadze@geostat.ge info@geostat.ge